

შპს „სამედიცინო დიაგნოსტიკური ლაბორატორია ემდილაბი“-ს ფინანსური
ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

შპს „სამედიცინო დიაგნოსტიკური ლაბორატორია ემდილაბი“-სრული შემოსავლის და
გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

		2024	2023
ამონაგები	შენ.#1	3 656 717	2 998 247
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება	შენ.#2	(1 462 059)	(1 212 809)
საერთო მოგება	შენ.#3	2 194 658	1 785 438
ადმინისტრაციული ხარჯები	შენ.#4	(323 994)	(306 093)
ძირითადი ხარჯები	შენ.#5	(1 039 345)	(873 077)
საოპერაციო მოგება		831 319	606 268
არასაოპერაციო შემოსავალი	შენ.#6	0	10 999
არასაოპერაციო ხარჯი	შენ.#7	0	-
მოგება დაბეგვრამდე		831 319	617 267
მოგების გადასახადის ხარჯი		(75 418)	(57 438)
მიმდინარე წლის მოგება	შენ.#8	755 901	559 829
გაუნაწილებელი მოგება წლის			
დასაწყისში		1 413 528	1 169 488
დივიდენდები		(427 368)	(315 789)
გაუნაწილებელი მოგება წლის			
ბოლოს	შენ.#9	1 742 061	1 413 528

შპს „სამედიცინო დიაგნოსტიკური ლაბორატორია ემდილაბი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

		2024	2023
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	შენ.#10	789 521	634 707
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	შენ.#11	107 089	120 064
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	შენ.#12	170 737	109 867
გაცემული ავანსები და სხვა		23 553	30 000
		1 090 900	894 638
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	შენ.#13	747 281	704 260
სულ გრძელვადიანი აქტივები		747 281	704 260
სულ აქტივები		1 838 181	1 598 898
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	შენ.#14	93 964	170 822
საგადასახადო ვალდებულება	შენ.#15	763	11 977
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		436	2 386
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	შენ.#16	957	185
		96 120	185 370
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	შენ.#17	1 742 061	1 413 528
		1 742 061	1 413 528
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1 838 181	1 598 898

შპს „სამედიცინო დიაგნოსტიკური ლაბორატორია ემდილაბი“-ს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	3 660 761	2 895 323
გაწეული ხარჯები	(3 607 218)	(2 866 934)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	101 271	158 568
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	154 814	(186 957)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის	634 707	447 750
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის	789 521	634 707

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სამედიცინო დიაგნოსტიკური ლაბორატორია ემდილაბი“(ს/ნ 412732798) დაფუძნებულია 2017 წლის 4 დეკემბერს საქართველოში, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ჯანდაცვის სხვა საქმიანობები, ლაბორატორიული პროცესების მართვა - ბიოქიმია, იმუნოლოგია, სეროლოგია, საერთო კლინიკური კვლევები. ამ საქმიანობებზე გააჩნია ISO სერტიფიკატი ნომერი 203361/A/0001/UK/Ge 30 აგვისტო 2019 წელი. დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე ქ.ქუთაისი, დ.აღმაშენებლის გამზირი #8, ბინა 8. კომპანიის 100%-იანი დამფუძნებელია:

- მედეა ავალიანი (პ/ნ-60001064200) - საქართველოს მოქალაქე

კომპანია ბუღალტრული აღრიცხვისათვის იყენებს ბუღალტრულ პროგრამას „ორისი“. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენს 32 კაცს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთაფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს სტანდარტი) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულებების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

3. საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. ყველა ოპერაციები ნაწარმოებებია ქართულ ლარში. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად დადგენილ პრინციპებს და ნორმებს. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

4.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

(ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

(ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

(გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

(დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

(ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება .

4.2 ფულადი სახსრები

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სალაროსა და საბანკო დაწესებულებაში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

4.3 მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

4.4 სავაჭრო მოთხოვნები.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.5 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 10-დან 12 წლამდე. სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს:

1. სამედიცინო (ანალიზატორული) აპარატურა 10-12

2. კომპიუტერული ტექნიკა 10

3. სამედიცინო და სხვა ავეჯი 15-20

4. ელექტრონული და სხვა მოწყობილობა 10-15

4.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

4.7 სავაჭრო ვალდებულებები:

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

4.8 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში

4.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

4.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაცვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

5. საქმიანობის შედეგები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

5.1. ნეტო ამონაგები

#	დასახელება	2024	2023
1	მომსახურების გაწევა	3 656 717	2 998 247
	სულ ამონაგები:	3 656 717	2 998 247

მომსახურების გაწევა მოიცავს მხოლოდ ძირითადი საქმიანობიდან, რეალიზაციიდან ამონაგებს, რომელიც შეადგენს 3656717 ლარს. სულ 2024 წლის ამონაგებმა შეადგინა 3656717 ლარი. (შენიშვნა #1)

#	დასახელება	2024	2023
1	საწყისი პროდუქციის მარაგები	109 867	311 382
2	მარაგების შესყიდვა	1 522 929	1 020 482
3	გადამუშავების დანახარჯი	1 462 059	1 221 997
4	საბოლოო მარაგები	170 737	109 867

საწყისი მარაგები 109867 ლარი მოიცავს მხოლოდ ძირითადი საქმიანობასთან დაკავშირებულ ნაშთს, შესყიდული მარაგები არის 1522929 ლარი, დანახარჯი ძირითად მომსახურობაზე არის 1462059 ლარი, და საბოლოოდ წლის ბოლოსთვის მარაგების ნაშთმა შეადგინა 170737 ლარი. (შენიშვნა #2)

#	დასახელება	2024	2023
1	სულ ამონაგები	3 656 717	2 998 247
2	მომსახურების თვითღირებულება	1 462 059	1 212 809
3	საერთო მოგება	2 194 658	1 785 438

სულ ამონაგებმა შეადგინა 3656717 ლარი. მომსახურების თვითღირებულებამ 1462059 ლარი, ხოლო საერთო მოგებამ შესაბამისად შეადგინა 2194658 ლარი. (შენიშვნა #3)

#	დასახელება	2024	2023
1	დასაქმებულთა ანაზღაურება	265 470	230 921
2	საპენსიო დანარიცხი	2 435	817
3	საკომუნიკაციო	926	1 631
4	საკონსულტაციო	10 000	8 000
5	კომუნალური	18 527	21 782
6	დაცვა	1 698	1 680
7	დაზღვევა	6 300	11 321
8	სერტიფიცირება	4 600	4 284
9	მივლინება	0	1 800
10	სხვა საოპერაციო ხარჯი (საკანცელარიო, ბანკის და ა.შ)	8 166	23 857
11	წარმომადგენლობითი	5 872	0
12	სულ საოპერაციო ხარჯი	323 994	306 093

მთლიანმა ადმინისტრაციულმა ხარჯმა წლის განმავლობაში შეადგინა 323994 ლარი. (შენიშვნა #4)

#	დასახელება	2024	2023
1	დასაქმებულთა ანაზღაურება	805 839	700 848
2	საპენსიო დანარიცხი	7 392	3 066
3	საიჯარო ქირა	76 750	54 375
4	ცვეთა და ამორტიზაცია	122 599	103 590
5	სამედიცინო მომსახურება	14 324	10 030
6	სხვა	12 441	1 169
7	სულ საოპერაციო ხარჯი	1 039 345	873 077

ამრიგად 2024 წელს მთლიანმა ძირითადმა დანახარჯმა ჯამში შეადგინა 1039345 ლარი.(შენიშვნა #5)

#	დასახელება	2024	2023
1	არასაპერაციო შემოსავლები	0	10 999
2	არასაოპერაციო ხარჯები	0	0
3	სულ არასაპერაციო შემოსავლები/ხარჯები	0	10 999

არასაპერაციო შემოსავლები და არასაოპერაციო ხარჯები 2024 წელს არ ყოფილა (შენიშვნა #6-7)

#	დასახელება	2024	2023
1	მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	831 319	617 267
2	მოგების გადასახადი	(75 418)	(57 438)
3	მოგება/(ზარალი)	755 901	559 829
4	მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	755 901	559 829

მთლიანი შემოსავლების და დანახარჯების შეპირისპირებისას მიღებული იქნა მოგება 831319 ლარი, რომელსაც გააკლდება მოგების გადასახადის ხარჯი 75418 ლარი და დარჩება წმინდა მოგების სახით 755901 ლარი, რომელიც საბოლოო ჯამში გადატანილი იქნა 2024 წლის გაუნაწილებელ მოგებაში. (შენიშვნა #8)

#	დასახელება	2024	2023
1	საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	1 413 528	1 169 488
2	სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	755 901	559 829
3	კაპიტალის სხვა ცვლილებები	(427 368)	(315 789)
4	საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	1 742 061	1 413 528

საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისში იყო 1413528 ლარი, გაიზარდა მოგების ხარჯზე 755901 ლარით, შემცირდა დივიდენდების გაცემის ხარჯზე 427901 ლარით და 2024 წლის ბოლოსათვის შეადგინა 1838181 ლარი. (შენიშვნა #9)

5.2 ფინანსური მდგომარეობა 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#	დასახელება	2024	2023
1	ფული სალაროში ლარში	2 784	10 918
2	ფული საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ ბანკებში ლარში	786 737	623 789
3	სულ ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტები	789 521	634 707

ფული და ფულის ელვივალენტები კომპანიაში განთავსებულია საბანკო დაწესებულებებში, სალარო მეურნეობაში და ფული გზაში. კომპანიას გახსნილი აქვს საბანკო ანგარიშები, როგორც ეროვნულ ვალუტაში ისე უცხოურ ვალუტაში. 2024 წელს უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები არ განხორციელებულა, ხოლო ეროვნულ ვალუტაში ახორციელებდა საბანკო ტრანზაქციებს მუდმივად. წლის დასაწყისში ნაშთი ფული და ფულის ექვივალენტებზე იყო 634707 ლარი, წლის განმავლობაში ცვლილების შედეგად ნაშთმა წლის ბოლოსთვის შეადგინა 789521 ლარი.(შენიშვნა #10)

სავაჭრო მოთხოვნები წლის დასაწყისისთვის იყო 120064 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა მოთხოვნები 3648137 ლარის, ჩაირიცხა მოთხოვნების დასაფარავად და სხვა გასავალი 3661112 ლარი და დარჩა მისაღები 107089 ლარი. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს განხორციელდა საექვო მოთხოვნებზე ანარიცხების შექმნა და კორექტირების შეტანა აღარ გახდა საჭირო.(შენიშვნა #11)

მარაგები კომპანიაში მოიცავს სამედიცინო კომპონენტებს. წლის დასაწყისისათვის ნაშთი 109867 ლარი მთლიანად არის სამედიცინო კომპონენტებზე ნაშთი, წლის განმავლობაში შემოვიდა სულ 1529577 ლარის მარაგი, წლის განმავლობაში მთლიანად გავიდა 1468707 ლარის მარაგი და ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 170 737ლარი.(შენიშვნა #12)

დასახელება	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი	იჯარით აღებული კეთილმოწყობა	სულ
ნაშთი 31.12.2023	620 014	40 137	38 798	5 311	704 240
შემოსვლა	127 380	7 770	17 185	13 425	165 760
ცვეთა	(105 828)	(8 972)	(6 324)	(1 475)	(122 599)
გასვლა	-	(140)		-	(140)
ნაშთი 31.12.2024	641 566	38 795	49 659	17 261	747 281

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ძირითადად სამედიცინო აპარატურით და ყოველწლიურად ხდება განახლება. სულ ძირითად საშუალებებზე ნაშთი წლის დასაწყისისთვის იყო 704260 ლარი, წლის განმავლობაში შემოსულია 165760 ლარის, ცვეთამ ჯამურად შეადგინა 122599 ლარი, გავიდა 140 ლარის და 2024 წლის ბოლოსათვის ნაშთმა გრძელვადიან აქტივებზე შეადგინა 747281 ლარი.(შენიშვნა #13)

სავაჭრო ვალდებულებები წლის დასაწყისში იყო 170822 ლარი, ხოლო წლის ბოლოსათვის შეადგინა 93964 ლარი.(შენიშვნა #14)

ვალდებულებები საგადასახადოს მიმართ წლის დასაწყისში იყო 11977 ლარი და წლის ბოლოსათვის დარჩა 763 ლარი.(შენიშვნა #15)

სხვა მოკლევადიან ვალდებულებებზე წლის დასაწყისში ნაშთი იყო 185 ლარი, წლის ბოლოსათვის ნაშთმა შეადგინა 957ლარი. (შენიშვნა #16)

გაუნაწილებელი მოგების ნაშთი წლის დასაწყისში იყო 1413528 ლარი, წლის განმავლობაში დაემატა მოგების სახით 755901 ლარი, გაიცა დივიდენდები 427368 ლარის და წლის ბოლოსათვის ნაშთმა შეადგინა 1742061 ლარი. (შენიშვნა #17)

5.3 ფულადი სახსრების მოძრაობა 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#	დასახელება	2024	2023
1	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	53 543	28 389
2	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	101 271	158 568
2	წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	154 814	186 957
3	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	634 707	447 750
4	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	789 521	634 707

ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში იყო 634707 ლარი. წლის განმავლობაში ჯამურად საოპერაციო საქმიანობიდან არის ზრდა 53543 ლარი, ხოლო საინვესტიციო საქმიანობიდან 101271 ლარი, შედეგად წმინდა ზრდა ფულის ეკვივალენტებში შეადგენს 154814 ლარს. ფულის და ფულის ეკვივალენტებმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 789521 ლარი.(შენიშვნა #18)

დირექტორი:

მედეა ავალიანი